ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
პარასკევი, 7 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 446 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მისამართი: ტფ., სასახლის ქ. № 5. საველე ელსმენი № 32.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი.
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

ფულის რეფორმა ბრწყინვალე შედეგებს აღწევს.

მთელი რიგი დადგენილებების და დეკრეტების გამოცემით საბჭოთა ხელისუფლება უკვე შეუდგა ფულის რეფორმის გატარებას ცხოვრებაში.

ბაზარზე უკვე გამოშვებულია ვერცხლის ფულები და სახაზინო ნიშნები. პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც გადადგა სათანადო სახელმწიფო ორგანოებმა ფულის რეფორმის გასატარებლად ჩინებულად აგვირგვინებს ამ საქმეს.

უკანასკნელ რადიო ცნობების თანახმად ჩვენ შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ფულის რეფორმის პირველ მიღწევაზე. უპირველეს ყოვლისა მტკიცე ვალიუტის ბაზარზე გამოსვლამ დიდი გავლენა იქონია „მაკრატელზე". ამხ. გროსმანი თავის მოხსენებებში გოსპლანის პრეზიდიუმში აღნიშნავს საქონლის ტრიალის გადიდებას, განსაკუთრებით საქსოვ მრეწველობაში. „ფასების შეფარდებამ", ამბობს ის „სასოფლო მეურნეობის და სამრეწველო საქონლებზე მიაღწია ნორმალურ დონეს". რასაკვირველია ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა საქონლებზე ფასების დაწევამაც.

ამასთანავე ერთად რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ გლეხობა დიდის სიხარულით და ნდობით შეხვდა ფულის რეფორმას. გლეხები ვერცხლის ფულთან ერთად ყოველ მიზეზ გარეშე სიამოვნებით ღებულობენ აგრეთვე სახაზინო ნიშნებსაც.

თავის საუბარში როსტას წარმომადგენელთან სმილგამ განაცხადა „ჩვენ სავსებით" დავიპყარით პურის ბაზარი. მიღებულია ზომები, რათა პურით იქმნას დაკმაყოფილებული მომხმარებელი ცენტრები. შემდეგში განზრახულია განმეორებით იქმნას შემცირებული ფასები პურზე, რის გამო კერძო ვაჭრობა საერთოდ და მთლიანად იძულებულია დაემორჩილოს არსებულ ფასებს.

„საქსოვი და ტყავის საქონელი უკვე შემცირდა 20—30°/₀".

ამრიგად საფულო რეფორმის განხორციელება მტკიცე ნიადაგზე სდგას და მის გატარება ცხოვრებაში უმტკივნეულოდ სავსებით უზრუნველყოფილია.

საფრთხე და შიში იმის გამო, რომ თითქოს ახალი ფულის კურსი ვერ გამოდის მტკიცე და საქონელი უფრო გაძვირდება სრულიად უნიადაგოა და სინამდვილეს არ შეეფერება.

პირიქით ახალ ვალიუტაზე გადასვლით სახელმწიფო მრეწველობა, კოოპერაცია და ვაჭრობა უფრო მაგარ პოზიციაზე დგება და გაცილებით უფრო მეტი ნაყოფით შებრძოლება კერძო ვაჭრობას, რომელიც, თანახმად ადგილებიდან მოსული ცნობებისა, იძულებულია გაუსწორდეს სახელმწიფო ვაჭრობას და დაიხიოს უკან.

პირველი შედეგები ფულის რეფორმისა ჩინებულია.

შეთანხმებული მუშაობა ყველა სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებისა, დაწესებულებებისა და კოოპერაციისა და მშრომელი ხალხის ენერგიული დახმარებით ხელის შეწყობით ბრწყინვალეთ დააგვირგვინებს ჩვენი ფინანსიური ფრონტის საბოლოო განმტკიცების საქმეს.

წითელ არმიელი სოფლად.

მარტის რიცხვებში მოხდება 1901 წელში დაბადებულთა განთავისუფლება უვადო შვებულებით. განთავისუფლებელ წითელ არმიელებში ყველა გლეხის შვილები არიან და და წარმოდგენაც არ ქონდათ გამოწვევამდის წ. არმიის სტრუქტურაზედ და განსაკუთრებით მის პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობის მხარეებზე.

გლეხის შვილი, რომელიც მოვიდა წითელ ყაზარმაში მისთვის ყოველი ირგვლივ არსებული ახალი იყო. მან არ იცოდა ის, რომ თუ ასეთი კულტურული მუშაობა იქნებოდა წ. ჯარში და მთავრობა ასეთი დაინტერესებული იქნებოდა გლეხის შვილების გათვითცნობიერების საქმით და ამდენ ენერგიას და ხარჯების გასწევდა ეს ყველა წ. მოლაშქრეებს დღეს კარგათ ესმით. დავასახელოთ თუ გინდ წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ჩვენს დივიზიაში ახლწვეულთა შორის ხუთი ათას კაცში ორი ათასზე მეტი უსწავლელი იყო, რომელთაც წარმოდგენაც არ ქონდათ, თუ რა იყო წიგნის წაკითხვა, ესენი ყველა ბრმათ უყურებდა ცხოვრებას არ იცოდენ თუ როგორი უბედურება იყო წერა კითხვის უცოდინარობა.

დღეს კი მუშურ-გლეხურ მთავრობის ენერგიის გაწევით, იქნა აღმოფხვრილი უსწავლელობა არმიაში.

რასაკვირველია უდიდესი საქმეა წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მუშებსა და გლეხებში. ეს საქმე ქართულ ნაწილებში სასურველად დაგვირგვინდა და მარტის თვეში ქ. დივიზია აძლევს სოფელს ორი ათას კაცს წერა კითხვის მცოდნეს. ეს ფაქტი ნათლად უმტკიცებს ყველა გლეხს და მუშას, რომ თავის მუშურ-გლეხური მთავრობა მართლა მათი მთავრობაა, რომელიც ყოველთვის და ყველგან ცდილობს მისთვის და ყოველთვის ზრუნავს მუშების და გლეხებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები კონტრ-რევოლიუციონერები აწევიან პროვოკაციას თითქოს ჩვენი მთავრობა ყურდნობა ხიშტებზე. თუ როგორი არის ან ვის ინტერესებს იცავს ეს ხიშტები, ამ კითხვის გარჩევას გაურბიან. იმათმა კარგა უნდა იცოდენ, რომ ჩვენმა წ. არმიელებმა, კარგათ იციან თუ რისთვის არის მოწოდებული და ვის ინტერესს იცავს ის. მან კარგათ იცის, რომ მუშათა მთავრობას არ ყავს ბრმა იარაღად წ. მოლაშქრე, როგორც მენშევიკებს ყავდათ წინათ. მან იცის კარგად რომ თუ წ. მოლაშქრე შეგნებული და შეიარაღებული არ არის თავის ინტერესის შეგნებით, ის ვერ დაიცავს მუშების და გლეხების ინტერესებს. ეს ანბანური ჭეშმარიტება დღეს უკვე ყველა წ. არმიელს ესმის. იმათმა კარგათ იციან მთავრობის გულის ნადები მუშების და გლეხების მიმართ. სკოლების გარდა კიდევ არის კულტურული დარგები წ-ჯარში, რომელთაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს წ. მოლაშქრისათვის ვიდრე წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა. ეს არის პოლიტ-საათი, პოლიტ-წრე, სპორტი, სამკითხველო, ლიტერატურული წრე, კლუბი და კიდევ ბევრი რამ. ყველა ეს დარგები ემსახურებიან წ. არმიელის თვით განვითარებას და იძლევიან კულტურულ საზრდოს. ვინც ამ დარგებში მუშაობდა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლად; რადგან ჩვენი გლეხობა კულტურულ მუშაობას ჩამორჩენილია და ამიტომ საჭირო იქნება ყველა წ მოლაშქრის ჩაბმა კულტურულ მუშაობაში სოფლად.

ს. ლ.

რადიო-დეპეშები

— მაროკკოში მოსალოდნელ მღელვარების გაძლიერების გამო გაიგზავნა ქვეითი ჯარის ერთი ბრიგადა.

— ქალაქ ნუმაცუში (იაპონია) საშინელი ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 200 სახლი. ზარალი უდრის ნახევარ მილიონ იენს.

— ტოკიოში გაიფიცა 5.000 მუშა. მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

— რუსეთის მოსაზღვრე სოფლებს თავს დაესხა ჩინეთის ბრბო—30 კაცი. გაიტაცეს ცხენები და ნაძარცვი საქონელი.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

სამხრეთ სლავია.

ლიტვინოვის განცხადებას სამხრეთ სლავიის დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა კავშირთან გაცხოველებით არჩევს სამხრეთ სლავიის პრესა.

ნინჩიჩის ორგანო „ტრიბუნა" აცხადებს, რომ სამხრეთ სლავია რუსეთის ემიგრაციის მიმართ აწარმოებს საშიშ პოლიტიკას. გამოსთქვამს რა მწუხარებას, რომ დღემდის არ დაწყებულა მოლაპარაკება სამხრეთ სლავიისა და საბჭოთა კავშირს შორის, გაზეთი იმედოვნებს, საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი წამოყენებული იქნება სამხრეთ სლავიის მიერ მცირე ანტანტის მომავალ კონფერენციაზე.

ჩეხო სლოვაკია

საფრანგეთის მორჩილია.

„როდე პრავო" ჰგმობს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ და ხსნის ამას იმ მიზეზით, რომ ჩეხო—სლოვაკიის მთავრობა იმყოფება პრაგაში მყოფ საფრანგეთის ელჩის გავლენის ქვეშ.

მაკდონალდი და რუსეთის კრედიტორები.

თემთა პალატაში ლორდ [illegible] შეეკითხა მაკდონალდს,—მოითხოვს თუ არა ის, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დროს, ბრიტანეთის მოქალაქეთა კომპენსაციას ჩამორთმეულ ქონებაში. მაკდონალდმა უპასუხა, რომ ის ვერ შებოჭავს თავს დაპირებებით მომავალი შეთანხმების საკითხში.

საბჭოთა კავშირი

კომინტერნის ხუთი წლის თავი.

ამხ. კამენევის მისასალმებელი სიტყვა.

კავშირთა სახლის „კოლონებიან" დარბაზში მოხდა რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის აღმასკომის გაერთიანებული სხდომა „მგპს" მოსკოვის საბჭოს პლენუმთან, წითელ არმიელთა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, კომინტერნის 5 წლის თავის შესახებ. ხსნის რა კრებას, ამხ. კამენევი ამბობს: „კომინტერნის 5 წლის ბრძოლა ნიშნავს მშრომელი კლასის 5 წლის წინსვლას მისი უკანასკნელ მიზნისაკენ,—კაპიტალიზმის მიერ დანგრეულ ქვეყნიდან, კომუნიზმის ქვეყნის აშენებამდი". აღნიშნა რა მსოფლიო პროლეტარიატის მსხვერპლი განმათავისუფლებელ ბრძოლაში და გაუსვა რა ხაზი კომინტერნის გაორნიზატორისა და შემქმნელის—ამხ. ლენინის მოღვაწეობას, ამხ. კამენევმა სთქვა: „ვიგონებთ რა დაღუპულთ, ჩვენ უნდა დავდოთ ფიცი—ერთგულად და მტკიცედ გვექიროს თავის პროლეტარულ ხელში წითელი დროშა, რომელიც იმათ ჩაგვაბარეს. პატივი ვსცეთ გარდაცვლილთა ხსოვნას". (ყველანი ფეხზე სდგებიან, ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარში).

ამხ. კამენევი მოუწოდებს აგრეთვე მოიგონონ ამხანაგები, რომლებიც იტანჯებიან ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში. „დეე, მათ მისწვდეს ჩვენი სალამი, რომელსაც ჩვენ უგზავნით პროლეტარიატის სახელმწიფოს პირველი სატახტო ქალაქიდან—ყველა მებრძოლებს მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ინტერნაციონალის წითელ დროშის ქვეშ მუშათა კლასის მიერ დაწყებული საქმე გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში".

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

ამხ. ზინოვიევი, რომელსაც შეხვდენ მხურვალე ტაშით, კომინტერნის ხუთი წლის მუშაობის შესახებ მოხსენებაში, შეჩერდა უმთავრესად ამხ. ლენინის როლზე ინტერნაციონალში.

აღნიშნა რა ამხ. ლენინის დამოკიდებულება მეორე ინტერნაციონალისა და მისი მოქმედების საკულმინაციო წერტილი პარიზის კომუნის აჯანყებისადმი, ამხ. ზინოვიევმა სთქვა:

„ლენინი გვასწავლიდა ჩვენ პატივით მოვეპყრობოდით პირველი ინტერნაციონალის საქმიანობას, განსაკუთრებით იმას, რაც შთაგონებას აძლევდა პარიზის კომუნარებს.

მეორე ინტერნაციონალის საქმიანობაში ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა. მაგრამ თუ რომ თავის მოღვაწეობის პირველ წლებში ილიჩი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა მეორე ინტერნაციონალს, დიდად აფასებდა გერმანიის სოციალ დემოკრატიის როლს, ბოლოს და ბოლოს ბრძოლის პროცესში მას დაებადა აზრი, რომ აუცილებელია შეიქმნას მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთა, ხოლო შემდეგში გაძლიერდა აზრი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება იწარმოოს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობამ ისე, თუ არ გამოეყოფოდა ერთი ფრთა მეორე ინტერნაციონალს.

ამხ. ზინოვიევმა დაწვრილებით გააშუქა ლენინის მოღვაწეობა, რამდენადაც ის შეეხებოდა მის დამოკიდებულებას მეორე ინტერნაციო-

ნალის კონგრესებს, მის ლიდერებს და შემდეგ ბრძოლებს მესამე ინტერნაციონალის დაარსებისთვის. „ზოგიერთს ჰგონია, რომ კომინტერნი მუშაობს ერთობ ნელი ტემპით, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ვითარდება ნელა. თანამედროვე თაობის სუბიექტიური თვალსაზრით ასეთი განწყობილება გასაგებია, მაგრამ სულ სხვა დაფასებას მივიღებთ თუ რომ შევხედავთ კომინტერნის მოღვაწეობას ისტორიულ მაშტაბით. ამ თვალსაზრისით, კომინტერნის მიღწევები დიდია. შეგვიძლია თამამად ვსთქვად, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მესამე ინტერნაციონალის ეპოქაში. ეს ეპოქა მიგვიყვანს ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საართაშორისო რევოლიუციის საქმე წავა გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე დღემდის მიდიოდა, მაგრამ ეს ხუთი წელი მაინც არ ჩატარებულა უბრალოდ.

კლარა ცეტკინის სიტყვა.

კლარა ცეტკინა თავის სიტყვაში მიუთითებს, რომ დღეს მსოფლიო პროლეტირიატი სულით-და გულით ჩვენს კონგრესზეა„ ლენინის მოძღვრება მსოფლიო პროლეტარიატისათვის არის ის კანდელი, რომლის საშვალებით ის შესძლებს გამარჯვებას.

ფულის რეფორმა.

როსტას თანამშრომელთან საუბარში სიძვირის საწინააღმდეგო ბრძოლის რწმუნებულმა სმილგამ განაცხადა: „ჩვენ სრულებით დავიპყარით პურის ბაზარი. შეუდექით პურის მასიურ დატვირთვასა და მოხმარებელ ცენტრებში გაგზავნას. შემდეგში გათვალისწინებულია ფასების კვლავ დაკლება პურზე. კერძო ვაჭრობა ემორჩილება დადგენილ ფასებს. შემჩნეულია ფასების დაკლება სხვა საქონლებზედაც. ნაქსოვი საქონელი და ტყავეულობა უკვე დაიწია 20—20 პროცენტით. ყველგან, ადგილებში შემჩნეულია გაიაფების ტენდენცია. კერძო ვაჭრობა იძულებულია გაუსწორდეს ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებს. დღემდის ჩვენ არ ვხმარობდით რეპრესიულ ზომებს მაგრამ თუ მდგომარეობა გვაიძულებს, ჩვენ მას შემოვიღებთ დაუზოგავად.

რწმუნებულის დანიშვნა.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, სახალხო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებულად ამიერ კავკასიის ფედერაციაში დაამტკიცა ამხ. ათარბეგოვი.

კრასნოშჩეკოვის საქმე.

მოწმე ტემკო აჩვენებს შემდეგს: იაკობ კრასნოშჩეკოვი თავისთავს სამრეწველო ბანკში შინაურ კაცად სთვლიდა, და მოითხოვდა სხვა და სხვა ოპერაციების შესრულებას უდროო დროს, სადაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მოხამსახურეების პროტესტს. რამოდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ კრასნოშჩეკოვების საფინანსო ოპერაციების შესახებ, ალექსანდრე კრასნოშჩეკოვის ენერგიული დახმარება თავის ძმაზე იმდენად ნათელი გახდა, რომ ორივე მხარემ და სასამართლომ ზედმეტად დაინახეს სხვა მოწმეების დაკითხვა.

ირკვევა, რომ „ერკოს" დაარსებამდე 1922 წლის სექტემბერში, იაკობმა მიიღო სამრეწველო ბანკში წინადადება, აიღოს თავის თავზე მშენებლობითი მუშაობა. სამუშაოს გარიგება ხდებოდა ზეპირი შეთანხმებით, მმართველობის დადგენილების გარეშე, გაურკვეველ პირობებში სადაც ალექსანდრემ ხშირად გაუწია სამსახური, რათა მის ძმას იაკობს დაჩქარებით მიეღო საჭირო თანხები.

სალამოს სხდომაზე გამოირკვა, რომ პირები, რომლებიც სინჯავდენ და ლებულობდენ სამუშაოს, თვით ითვლებოდენ „არკოს" თანამშრომლებად. 800 აქციებიდან 400 შეადგენდა იაკობის საქმის ნამდვილ პატრონის, უცხოელ კრიპსის საკუთრებას; დანერჩენი აქციებში განაწილებულ იქნა კრასნოშჩეკოვის დებსა და თავისიანებ შორის.

ოსმალეთის ამბები

ხალიფის გამგზავრება.

გუბერნატორმა ადნან-ბეიმ აცნობა ხალიფს ანგორის მთავრობის გადაწყვეტილება ხალიფატის გაუქმების შესახებ. ხალიფმა დასტოვა სტამბოლი და თავის ოჯახობით გაემგზავრა შვეიცარიაში სპეციალური მატარებლით.

ახალი რეფორმები დაამტკიცა მეჯლისმა.

მეჯლისმა, ზოგიერთების გამოკლებით, რომლებმაც თავი შეიკავეს, მიიღო კანონპროექტი რელიგიის კომისარიატის გაუქმებისა და სამოქალაქო და საეკლესიო სკოლების გაერთიანების შესახებ. კანონპროექტის განხილვის წინ მეჯლისში მოხდა კომისართა საბჭოს წინასწარი სხდომა. ღია სხდომის განხილვის დროს კონსერვატორები გამოვიდენ კანონპროექტის წინააღმდეგ, სადაც აღნიშნავდე, რომ ხალიფატის ლიკვიდაცია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ცუდ გავლენას მოახდენს ქვეყნის შინაურსა და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ვინაიდან ხალიფა აერთიანებს ყველა მუსულმანებს.

იუსტიციის კომისარმა ხეილმი იურიდიულად დაამტკიცა ხალიფატის ლიკვიდაციის აუცილებლობა, შეეხო რაკორანის, შარატის და ისლამის ისტორიის. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, ისმეტ ფაშამ მოითხოვა მთავრობის სახელით კანონპროექტის დამტკიცება. კანონპროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

უკმაყოფილება ოსმალეთის რეფორმებით.

ლონდონის გაზეთები წყარყოფილად უცქერიან ანგორის მიერ ხალიფატის გაუქმებას. ისინი წინასწარმეტყველობენ სასტიკ პროტესტს ოსმალეთის წინააღმდეგ ინდუს-მუსლმანების მხრივ, და სთვლიან შესაძლებლად, რომ რომელიმე მუსულმანური სახელმწიფო ჩაუდგება სათავეში ისლამს და წამოაყენებს ახალ ხალიფს.

ოსმალეთის კომპარტიის მუშაობა.

კომინტერნის წევრი ახმედ ჯემარი იუწყება ოსმალეთის კომპარტიის მუშაობის შესახებ. 1922 წელში ოსმალეთის კომუნისტური პარტიის 17 ორგანიზაცია შეერთდა ერთ მთლიან კომპარტიაში. ოსმალეთის პროლეტარიატის სისუსტე და მცირე რიცხოვანობა აყენებს კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე ამოცანას, სადაც ისინი უნდა დაეუფლონ პირველადვე მუშათა და გლეხთა მოძრაობას. უკანასკნელ ხანებში შეიქნა კეთილსასურველი პირობები ამოცანების გადასაჭრელად. 32 პროფკავშირი გაერთიანებულია პროფკავშირთა საერთო ფედერაციაში, რომელშიაც შედის აგრეთვე ანატოლიის ორგანიზაციების მთელი რიგი.

ხალიფატის გაუქმების გარშემო.

დამატებითი ცნობა.

ხალიფ აბდულ—მეჯიდი მივიდა შვეიცარიაში თავისი შვილით და 32 პრინცესებით.

ვენის „ნეიე—ფრესეს" ცნობით ხალიფს უღალატა ყველა მოხელეებმა და მარტო დასტოვა ჯერ კიდევ ანგორის ნაციონალურ ყრილობის გადაწყვეტილებამდი.

პრეტენდენტი ხალიფის წოდებაზე.

ანგორის მთავრობა აფრთხილებს მლოცველებს მექაში წასვლიდან, ვინაიდან ამას მიიღებენ როგორც მეფე გეჯას—ჰუსეინის ხალიფად ცნობას, რომლის წოდებისთვისაც ჰუსეინის პრეტენზიებს აცხადებენ.

მუშათა მოძრაობა

იაპონია.

ნავთსადგურზე მომუშავეთა მასიური დათხოვნა.

შტეტინში სწარმოებს ნავთსადგურის მუშების მასიური დათხოვნა, რომლებმაც გამოაცხადეს გაფიცვები სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ.

5.000 მუშის გაფიცვა.

ოსაკაში გაიფიცა მოტორიან ნავების დამზადებელი მუშები. მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გაფიცულთა მხარის დასაჭერად გაიფიცა წებოს დამზადებელი მუშებიც. სულ გაფიცულია 5,000 კაცი.

ოსაკაში მოსულმა გაერთიანებულ შრომის ფედერაციის წევრებმა მოაწყვეს ქალაქში დიდი დემონსტრაცია და მიტინგი—ქალაქს გარედ.

ეგვიპტე.

პოლიციის თავდასხმა კლუბზე.

კაირში, ალექსანდრიაში და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მოხდა მრავალ რიცხოვანი დატუსაღება. პოლიცია თავს დაესხა კლუბების მთელ რიგს და დაიჭირა მრავალი საბუთები.

მღელვარება მაროკკოში.

მაროკკოს უზენაეს კომისრის მოთხოვნით, გადაწყდა გაიგზავნოს მაროკკოში ქვეითა ჯარის ერთი ბრიგადა, ვინაიდან იქ მდგომარეობა გართულდა. ამას გარდა მობილიზაცია სწარმოებს, კიდევ ერთი ბრიგადის გასაგზავნად.

სხვა და სხვა

ჩინეთი.

თავდასხმა რუსეთის სანაპირო სოფელზე.

20 თებერვალს ჩინეთის საზღვარის მხრივ გამოჩნდა ჩინელების ბრბო 30 კაცისაგან შემდგარი. ბრბო თავს დაესხა სოფელ კომისაროვკას, ცეცხლი გაუჩინა მას ყოველ მხრივ და დაიწყო ძარცვა, გლეხების ხვრეტა და ქალების ნამუსის ახდა. „გპუ"-ს პოსტის გმირული წინააღმდეგობით კომისაროვკამ თავი იხსნა სრული განადგურებისაგან.

ბანდიტებმა დაიხიეს ჩინეთის ტერიტორიაზე, რომლებმაც დაჰკარგეს 3 კაცი. ბანდიტებმა თან გაიტაცეს გლეხების ცხენები და ნაძარცვი საქონელი.

ბრბო თავს დაესხა აგრეთვე სოფელ ქარიკოვოსა და ნესტოროვკას.

სარწმუნო წყაროების ცნობებით ბანდიტები ჩინეთის გარნიზონიდან არიან. ისინი იმყოფებოდენ ჩინეთის ოფიცრის განკარგულებაში. მათ ჰქონდათ იარაღები, 4 ზარბაზანი, ჰყავდათ სანიტარული რაზმი და კანცელარია.

იაპონია.

დიდი ცეცხლი.

ქალაქ ნუმაცუში გაჩნდა დიდი ცეცხლი. დაიწვა 100 სახლი. ზარალი უდრის ნახევარ მილიონ იენს.

ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობა.

თვეზე მეტია, რაც ინგლისის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავე ხელში აიღო ინგლისის მუშათა პარტიამ. მათი ნამოქმედარის, უკეთ რომ ვსთქვათ უმოქმედობის,—მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რამდენათ შეეფერება ამ მთავრობას „მუშათა პარტიის მთავრობის" სახელწოდება. კონსერვატორთა პარტიის მთავრობამ, რომელმაც ვერ შესძლო შინაურ ისე საგარეო პოლიტიკაში შექმნილ გაამწვავებულ მდგომარეობის დაძლევა, თავისი მემკვიდრეობა გადასცა მუშათა პარტიის მთავრობას, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდენ როგორც შინ, ინგლისში და დომინიონებში, ისე მის გარეშე, რადგან პარტიის ბელადებს გაცემული ქონდათ თავიანთ ამრჩეველთათვის საამქვეყნო ცნობების თამასუქები.

პირველ შეხედვით ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობაში მისვლა გაიხსნება პარლამენტში მათდამი სასურველ უმრავლესობის შექმნით, ე. ი. პარტიულ - პარლამენტარულ კომბინაციებით, მაგრამ ოდნავ ამ ფარდის აწევით ჩვენ დავინახავთ სინათლეზე ამ მოვლენის ნამდვილ ბუნებას.

კონსერვატორთა მთავრობის პოლიტიკის წყალობით, ინგლისს საგარეო პოლიტიკაში წილად ხვდა სრული იზოლიაცია, მდგომარეობის გართულება კოლონიებთან, საშინაოში კი წარმოების საგრძნობლად შეჩერება, აქედან უმუშევართა რიცხვის წარმოუდგენელი ზრდა (ინგლისში ამ ჟამად 5 მ. უმუშევარია). უმუშევართა, საბინაო და სხვა საკითხები ვერ მოგვარდა შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქადდა იმპერიას. მეორე მხრივ ლიბერალური ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო იმ ტრადიციულ საგარეო პოლიტიკით, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ლორდი კერზონი, რაც გამოიხატებოდა კერძოდ, საბჭოთა კავშირისადმი შეურიგლობაში. ამ შემთხვევაშიც ინგლისის ბურჟუაზიამ მიმართა ნაცად გზას. ვის შეეძლო შექმნილ მდგომარეობის გამოსწორება თუ არა მუშათა პარტიას—რომელსაც ამ გვარი სამსახური არა ერთხელ გაუწევია ბურჟუაზიისათვის. და მართლაც, ლიბერალურ პარტიის კურთხევით და დახმარებით მუშათა პარტია მოექცა მთავრობას სათავეში. ამ მთავრობის მოქმედება დაიწყო ეფექტით: მან დაუყონებლივ იცნო საბჭოთა კავშირი. მაგრამ, ეს ფაქტი მათ დიდ დამსახურებად ჩაითვლება?! სრულებით არა. ცხადია, როგორიც უნდა მთავრობა არ ყოფილიყო, პოლიტიკურ ვითარების კარნახით, ეს მოვლენა ფაქტად უნდა ელიარებია, თუ არ უნდა პირ ღია დარჩენილიყო. თუ რა ურთი-ერთობა ჩამოყალიბდება რუსეთ და ინგლის შორის ამას მოლაპარაკების შედეგები დაგვანახებს. ამ ჟამად პრემიერ მაკდონალდის ყურადღების ცენტრი გადატანილია საგარეო პოლიტიკაში.

მისი წადილია, რამენაირად გამოიყვანოს ინგლისი იმ იზოლიაციიდან, სადაც ის მოხვდა წინანდელ მთავრობის წყალობით, და აღადგინოს ინგლისის, როგორც საზღვაო, ისე კონტინენტალურ სახელმწიფოს პრესტიჟი, რომელიც შებღალულია უკანასკნელ წლებში საფრანგეთის მეტოქეობით. მაკდონალდის პოლიტიკა ამ მხრივ ლიბერალურ პარტიის პოლიტიკის გაგრძელებაა. გულუბრყვილონი ფიქრობდენ: მუშათა პარტია მთავრობის ხელში ჩაგდებისთანავე ხელს მოკიდებს საერთო განიარაღების პოლიტიკას. სულ რამოდენიმე დღეები გავიდა მას შემდეგ, რაც მაკდონალდის მთავრობამ მიიღო კანონი ინგლისის ფლოტის ხუთი კრეისერით გადიდების შესახებ! გაკეთდა რაიმე ინდოეთის ან სხვა ახალშენის მდგომარეობის შესამსუბუქებლად? სრულიად-არაფერი. მთავრობის საპროგრამო დეკლარაციაში ერთი სიტყვითაც არ იყვნენ ისინი ნახსენები. ცხადია, რომ ინგლისის ახალშენების მონები არაფერს არ უნდა გამოელოდენ მათ საკეთილდღეოთ მაკდონალდის მთავრობისაგან.

მოსალოდნელი იყო, მუშათა მთავრობა საგრძნობლად შეამსუბუქებდა უმუშევართა მდგომარეობას. ეს შესაძლებელი იყო ორი გზით. მთავრობას უნდა ეხსნა მრეწველობა კრიზისისაგან და ამით უმუშევართ სამუშაო მისცემოდათ, მაგრამ ამ მხრივ პერსპექტივაში არაფერი საიმედო არ არის. ამ ჟამათ, როგორც ზევით ნათქვამია ინგლისში 5 მილ. უმუშევარია, მთავრობას არ მოეპოვება სახსარი ყველა ისინი გაგზავნოს საზოგადოებრივ სამუშაოზე. იყო ერთად-ერთი გზა, რომელსაც ვერ დაადგა „მუშათა" მთავრობა, რასაკვირველია, ბურჟუაზიის შიშით. ეს არის—კაპიტალის დაბეგვრა. ეს საკითხი, ფილიპ სნოუდენის, წყალობით, რომელიც მეთაურობს ფინანსთა სამინისტროს, გადაიდო დიდი ხნის ვადით. საარჩევნო კომპანიის დროს კი მუშათა პარტიის პროგრამაში ამ პუნქტს საპატიო ადგილი ეკავა. ასეთივე, და თუ არა უარესი, მდგომარეობაა სხვა დარგშიაც. მუშათა მთავრობის მოქმედების პრაქტიკა საკმარისად ამტკიცებს, რომ ის ვერც ერთ რადიკალურ ნაბიჯს ვერ გადასდგამს მუშათა მასსების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს ტიპიური ოპორტუნიზმის და რეფორმიზმის მთავრობაა, რომლის მოღვაწეობა გამოიხატება, ბურჟუაზიისადმი კრძალვით და შიშით მოპყრობაში და უშედეგო მყვირალა სოციალისტურ ლოზუნგების წამოსროლაში, რისთვისაც ბურჟუაზიის პირველ წამოძახებისთანავე, ბოდიშის ხდას დაიწყებენ აშკარაა, ეს მთავრობა მოწოდებულია უკეთ და მოხერხებულად დაიცვას ბურჟუაზიის ინტერესები. და როცა ისინი ვალდებულებას მოიხდიან, მათ ის ბედი ეწევათ, რაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, მათ მოძმეებს 2 ინტერნაციონალიდან.

გმელფ.



ქართ. მსრ. დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა 1-ლი კონფერენცია.

(სხდომის ანგარიში).

5 მარტი ამიერიდან სამახსოვრო დღეთ გახდება თვითეული ქართველი წითელ არმიელისათვის. ამ დღეს როდესაც სხვათა შორის კომინტერნ-ც ზეიმობს თავის არსებობის 5 წლის თავს, იხსნება უპარტიო წითელ არმიელთა 1-ლი კონფერენცია.

ყველაფერი საზეიმოთაა მოწყობილი: სცენა, პარტერი, კლუბის ფოიე. აქვეა ორკესტრი და საქ. წით. ჯარის ბელადები.

კონფერენციას ხსნის დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. თენგიზ ელენტი, რომლის სიტყვაც მოგვყავს შემოკლებით.

ამხ. თენგიზ ელენტის სიტყვა.

ამხანაგებო, ქართული წითელი ლაშქრის უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციას გახსნილათ ვაცხადებ (ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს). ვიდრე ჩვენ გადავიდოდეთ ჩვეულებრივ საქმიანობაზე არ შეიძლება არ შევჩერდეთ და არ გავიხსენოთ ის დიდი დანაკლისი რომელიც მოუვიდა კომპარტიას და საერთაშორისო პროლეტარიატს თავის ბელადის, დიდი რევოლიუციონერის ამხ. ლენინის დაკარგვით. გთხოვთ ფეხზედ ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას! (ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს). ამხანაგებო, დღევანდელი ჩვენი შეკრების ფაქტი გამოწვეულია იმ შეურყეველი რწმენით, რომელიც ჩვენ მივიღეთ წარსულში, რომ მხოლოთ მშრომელი ხალხის შეღუდებულ და შეთანხმებულ ნებისყოფას შეუძლია დახძლიოს ყოველგვარი საფრთხე და გამარჯვებული გამოვიდეს საბოლოოთ. კომპარტია ყოველთვის იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ფართო უპარტიო მასისათვის გაეზიარებია თავისი პროგრამი, გაეჭვრება თუ დალხინება. კომპარტია არც მოტყუებულა თქვენს ნდობაში. ეხლა უკვე ყველას სჯერავს და თქვენმა მუშაობამაც დაამტკიცა თუ რამდენად თანაუგრძნობთ არსებულ ხელისუფლებას. ამის მოწმე, ამხანაგებო, მრავალი ადგილებია საქართველოში. ჩვენ გვჯერა რომ ის დროშა, რომელიც თქვენ გადმოგცათ კომპარტიამ არასოდეს ძირს არ დაიხრება და ყოველთვის თამამათ იქნება აფრიალებული ღირსეული ხელის მიერ. თქვენ ემსახურებით პატიოსან საქმეს და როდესაც დაბრუნდებით თქვენს სახლებში, გააკეთეთ ის საქმე, რასაც გავალებთ მშრომელი ხალხის ინტერესები. გაუმარჯოს, იმ საქმეს, რომელსაც თქვენ ემსახურებით!

გაუმარჯოს, უპარტიო წითელ არმიელთა პირველ კონფერენციას! (ტაში ინტერნაციონალი).

ამხ. თენგიზ ელენტის სიტყვის შემდეგ იწყება მისალმებანი. პირველათ კონფერენციას ესალმება დივიზიის უფროსი ამხ. **ს. ლექვთაძე.** იგი უსურვებს კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას, საერთო საქმის საკეთილდღეოთ.

მისასალმებელი სიტყვა ეძლევა კ. ნ. დ. არმიის რევსამხსაბჭოს წარმომადგენელს ამხ. **მატვეევს.** თავის სიტყვაში ორატორი აღნიშნავს თუ საზოგადოთ რა ღვაწლი მიუძღვის წითელ არმიას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებაში და რამდენათ დიდია კერძოთ სახელოვანი ქართული დივიზიის დამსახურება და მნიშვნელობა ამ საქმეში.

წითელი ყაზარმები, განაგრძობს ამხ. მატვეევი, ეს ნამდვილი სკოლაა, სადაც ყოველი ჩვენგანი იძენს ცხოვრებაში აუცილებლათ საჭირო ცოდნას. ეს ასე არ იყო ძველათ, როდგანაც ბურჟუაზიას ეშინოდა ცოდნის, იმიტომ რომ ცოდნა მიღებულ ჯარს იგი ვერ მოიხმარდა თავის ნებაზე. ვის არ ახსოვს თუ ლორდი კერზონი "როგორ თავხედურ ნოტებს გვიგზავნიდა, მაგრამ დღეს არა თუ ამას გვიბედავენ გვეცხეს კიდეცა და ეს უნდა მიეწეროს მხოლოთ და მხოლოთ წითელი არმიის სიძლიერეს.

ორატორის სიტყვას ქართულათ თარგმნის ამხ. ელენტი.

სახალხო განათლების კომისარიატის სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. ნადარია. ის ლაპარაკობს ძველსა და ახალ ჯარებს შორის განსხვავებაზე და მოუწოდებს მათ, რომ დაიცვან ყოველმხრივათ ის უფლება რომელიც მათ მიანიჭათ ოქტ. რევოლიუციამ.

დივიზიის პოლიტგანყოფილების მომუშავეთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. შ. თალაკვძე.—იგი ვრცლათ ჩერდება ლენინის დაკარგვით გამოწვეულ დიდ დანაკლისის მნიშვნელობაზე და ამბობს, რომ ეხლა განსაკუთრებით, მოფიქრებულათ მოქმედებაა საჭირო, როდგანაც ჩვენს უკან აღარ დგას ის ბუმბერაზი ძალა, რომელსაც ლენინი ეწოდება. ორატორი მოუწოდებს დამსწრეებს, რომ იყვნენ ერთგული აღმასრულებელნი იმ ცნებებისა, რომელნიც მათ დაუტოვათ დიდმა მასწავლებელმა. დასასრულ იგი ამბობს, რომ პოლიტშემადგენლობა მზათაა ყოველთვის გაიზიაროს წითელ არმიელთა ჭირი და ლხინი და როდესაც ისინი დაბრუნდებიან სახლში, თავისიანებს ურჩიონ, რათა წითელ არმიაში წამოსვლა სასურველი გახდეს ყველასათვის.

მისალმებები ნაწილებიდან.

იწყება მისალმებები ნაწილებიდან ორატორები უმთავრესათ მწყობრის წითელ არმიელები არიან. კაცი სიამოვნებასა გრძნობ მათ როცა უსმენ. სად ისწავლეს ასე ლამაზათ ქართული ლაპარაკი? ეკითხები თავს.

ლაპარაკობენ ამხ.—ები ნემსწვერიძე, კალანდაძე, გოგოშიძე, თავართქილაძე, აბულაძე, მაჩიტაძე და რუხაძე. მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან აგრეთვე პოეტები. ერთაწმინდელი და გოგიტო ციმბირელი.

პრეზიდიუმის არჩევნები.

პრეზიდიუმში აირჩიეს 20 კაცი. მათ შორის ამხ. თ. ელენტი, ლექვთაძე, ლომიძე და სხვანი.

კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს: რიკოვი, ტროცკი, კალინინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი და დუმბაძე.

პრეზიდიუმში წინადადება შევიდა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნონ საქ. კომ. პარტიის ცეკას, საქ. ცაკს, ს. ს. რ. კ. ჯარების რევსამხსაბჭოს და ამხ. ტროცკის.

რეგლამენტის გამომუშავების შემდეგ სხდომა შესწყდა მეორე დღის დილის 10 საათამდე,

6 წლის თავი.

(ცხენოსან ლეგიონში)

დილაა. წითელ არმიელები მხიარულებით აღსავსენი დაფრიალებენ ლეგიონის ეზოში. გაისმა ბუკის ხმა. წითელი მხედრები მხიარული სიმღერით გაეშურენ საჯინიბოში.

„აბა ჩქარა ამხანაგებო, მოვათავოთ ყველა საქმეები და მოვაწყოთ შესაფერისად; ხომ იცით რომ დღეს, ჩვენთან მოდიან მუშები სტუმრათ"—სთქვა ერთმა წითელმა მხედარმა, „ცხენებსაც ვაგრძნობინოთ ამხანაგებო დღევანდელი ზეიმი წამოიძახა მეორემ."

„კარგად დავასუფთაოთ ცხენები რომ შემდეგ გულში ნაკლათ არ დაგვრჩეს პირუტყვები"—გამოეხმაურა მესამე. ოი შენი ჭირიმე, ამას რავა დავაკლებ მოვლას გადაუსვა ხელი მეოთხემ სიყვარულით თავის ცხენს.

12 საათი მოახლოვდა. ისმის ბუკის ხმა. ყველანი ყაზარმებისაკენ გაეშურებიან, სადილის დროს თვითეულ ესკადრონში ისმის სიმღერა და კამათი 6 წლის თავის მნიშვნელობაზე. ლენინის კუთხეები მოგაგონებს მოელვარე მზის სხივებს. საღამო ახლოვდება. აღტაცებული სახით შემოირბენს ერთი წითელი მხედარი და გაიძახის: „ამხ. დაეწყვეთ. მუშები მოვიდნენ. თქმა და დაწყობა ერთი იქმნა. გამოვეგებეთ მუშებს. მუშებიც პირდაპირ დამწკრივდნენ და შესცქეროდენ წით. მხედრების ვაჟკაცურ სახეს. მუსიკამ დაუკრა საზეიმო მარში. ლენინის სახელით მუშებს მიესალმა ლეგ. სამხკომი ამხ. ბუჯიაშვილი და მოუწოდა მუშებს და წით. მხედრობას მტკიცე კავშირისაკენ. მუშების სახელით მიესალმა წით. მხედრობას მუშების წარმომადგენელი ამხ. გვიჩია.

„ყაზარმებში"!—გაისმა განკარგულება. მხედრები გაეშურენ ყაზარმებში. გაისმა ჯგუფური სიმღერები და გაიმართა ცეკვა თამაში. მუშებმა დაიარეს თვითეული ესკადრონი სადაც იქმნა წარმოთქმული სიტყვები პოლიტხელების და წით. არმიელების მიერ.

„ეხლა ცხენებიც ვინახულოთ", ამბობს ერთი მუშა—და ლეგიონის შემადგენლობასთან ერთად სიმღერით გაემართენ საჯინიბოში. საჯინიბოს დათვალიერების შემდეგ მთელი შემადგენლობა გაეშურა კლუბისაკენ. საუცხოვო სურათს წარმოადგენს ლენინის სახელობის კუთხე, სადაც გამოფენილია ბელადის სურათი რომლის დანახვაც აორკეცებს თვითეულ მხედრისა და მუშის ენერგიას. საკითხველო გაზეთებით მოფენილი, რევოლიუციის გმირთა სურათები წით. არმიელის შემოქმედება. ამხ. ბუჯიაშვილი ხსნის მიტინგს, რომელიც მოკლეთ აცნობს საზოგადოებას დიდ დღესასწაულის მნიშვნელობას. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს. სიტყვას ამბობს ამხ. მუშანია ექვსი წლის თავის შესახებ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: მიწათ მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელმა, მუშების წარმომადგენელმა ამხ. გვიჩიამ, ახალ გაზრდა კომ. კავშირის წარ—ლმა პოლიტხელმა ამხ. იოსავამ, წით. არმიელებმა გაგოშიძემ, მახარაძემ და სხვებმა რის შემდეგ იქმნა გამოტანილი შესაფერი რეზოლიუცია. ბოლოს დაიდგა წარმოდგენა სურამის ციხე, რომელიც ჩინებულად ჩატარდა. კმაყოფილი მუშები ლეგიონის ძმური დახვედრით—ემშვიდობებიან და მიდიან.

სამხკორი: **არ. ცხომელიძე.**

უმცროს მეთაურთა მოს. სკოლის გარშემო.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში შვებულებაში წასული კურსანტები ყველანი გამოცხადენ თავის დროზე.

წარსულში ჩვენ ვიცით, რომ შვებულებიდან 10% არ ბრუნდებოდა თავის დროზე ან და სულ არ ცხადდებოდენ სამსახურში. დღეს ჩვენი კურსანტები საკმარისად არიან შეგნებულნი, და მტკიცეთ იცავენ დისციპლინას.

მეცადინეობა: ამ დღეებში დაიწყება სამწყობრო მეცადინობა და გაიმეორებენ წარსულ პროგრამას.

პოლიტ-საათი: პოლიტიკური მეცადინეობა დღეს სისტემატიურათ სწარმოებს.

სპორტის-სფეროში: მეცადინობა მა დარგში თავის სიმაღლეზე სდგას.

ბიბლიოთეკაში: ბიბლიოთეკა მშვენივრად არის მოწყობილი, რომელიც მოთავსებულია ორ ოთახში. ოთახები მშვენივრათ შეღებული, წიგნები კარგათ არის დაწყობილი, გაზეთების მკითხველები ბლომათაა.

ლენინის კუთხეები: მსროლელ ასეულში თითქმის ერთი თვეა, რაც წ. კუთხე გადაკეთდა ლენინის კუთხეთ. აქვე მოთავსებულია ჩვენი რევოლიუციის ბელადის, ილიჩის სურათი, რომელსაც ამკობს წითელი დროშები ოქროს ვარაყის წარწერებით და სხვა ლოზუნგებით. აგრეთვე ამ დღეებში მოწყობილი იქნება ბიბლიოთეკაში ლენინის კუთხე და სხვაგანაც, როდესაც კი საჭირო იქნება.

კლუბი: კლუბის უქონლობა ძალიან აფერხებს წრეების მუშაობას. ეხლა იმედია, რომ კლუბი მალე გვექნება, რადგან მუშაობა კლუბის გასაკეთებლად ძალიან სისწრაფით სწარმოებს.

ყაზარმების შეკეთება მალე დამთავრდება.

დამოკიდებულება: საერთოთ უნდა აღინიშნოს რომ განწყობილება კურსანტებს და უმფრშემადგენლობის შორის დამაკმაყოფილებელია.

დ. ჭანკვეტაძე.

მეორე ასეულში.

ჩვენს ასეულში შედგა 2 მარტს წით. არმიელთა საერთო კრება. კრებაზედ ამხ. კაკაჩიძემ (პოლიტხელი) მოკლედ და გარკვეულათ დაახასიათა წით. არმიის აღზრდა განვითარება, შეეხო თუ რა უნდა გააკეთოს ყოველიკე წით. ლაშქრელმა უვადო შვებულებაში დაბრუნებისას. მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოსთქვა სრული იმედი რომ ის ყოველივე ამ ცოდნას შეიტანს შეუგნებელ მშრომელ მასაში. შემდეგ ამისა კრებამ ერთ ხმით აირჩია ორი უპარტიო წით. არმიელი დელეგატებათ უპარტიო წითელ არმიის კონფერენციაზედ გასაგზავნათ.

სამხკორი: **წკრიალაშვილი.**

ცალკე საკავშირო ასეულში.

(სურათი)

კვირა, 2 თებერვალი, მზიანი დილა.

პოლიტ-მეცადინეობა წითელ კუთხეში.

პოლიტიკური წრე ცოცხლად მუშაობს.

პოლიტხელი ამბობს სიტყვას და ახასიათებს პოლიტ-მეცადინეობის მნიშვნელობას, რომლის შემდგომ სამხკომი უკითხავს და უხსნის კოვალენკოს პოლიტიკურ „ან-ბანს".

წითელ არმიელნი ხარბად იჭერენ ყოველ სიტყვას, ყველას თვალები უბრწყინავს, რომ ეს კითხვა კარგად ესმის, და როდესაც სამხკომი ეკითხებოდა:

— აბა, ვინ ახსნის უფრო უკეთ?

იქნება დავა წითელ არმიელებს შორის და ეჯიბრებიან ერთმანეთს ცოდნაში:

— მე ვიტყვი!

— არა მე!

— მე!

— მე უკეთ ვიცი!

ყველა ერთი მეორეზე უკეთ ხსნიან. პოლიტიკურ ან-ბანს,

უყურებ ამ სურათს და ადარებ ამ ამხანაგების ეხლანდელ წელს შორშანდელ წელთან, როდესაც წერა-კითხვაც კი არ იცოდენ და ეხლა ისე მომზადდენ, რომ პოლიტიკურ ანბანსაც კი ადვილად არჩევენ და უფრო ნაკლებ ნასწავლ ამხანაგებსაც უხსნიან.

ხით.

ახალი ამბები

რევტრიბუნალში.

10 მარტს ქ. დ. რევტრიბუნალი გაარჩევს პაპასკირის და ფრუიძის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ დეზერტირობა.

კონფერენციის გახსნა.

5 მარტს დილის ზეიმით გაიხსნა უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია.

სასახლის ქუჩა.

ქალ. აღმასკომმა დაადგინა სასახლის ქუჩაზე მოშალოს სასადილოები, საჩაიეები და საკანდიტეროები.

სამეურნეო იარაღები.

მიწ. მოქმ. კომისარიატმა მოსკოვში შეიძინა დიდძალი სამეურნეო იარაღები.

ღვინის გატანა.

რუსეთის ღვინის ტრესტმა საქართველოში შეიძინა 3.000 ვედრო ღვინო.

პროლეტკულტის ტეხნიკუმი.

საქ. სახ. კომ. საბჭომ პროლეტკულტის ტეხნიკუმი ჩაირიცხა პოლიტგანათლების მმართველობის ქსელში.

ინვალიდთა არტელს.

სოც. უზ. კომისარიატმა საქ. ინვალიდთა შრომის არტელს მისცა 2.000 მან. ჩერვ.

პროფ. რაზმაძეს მივლინება.

სახელმწ. უნივ. პროფესორი რაზმაძე მივლინებულ იქნა საფრანგეთში მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებლათ.

შემთხვევები.

— **მორგებული გასაღებით.** 4 მარტს კამოს ქ. № 93 მორგებული გასაღებით გაქურდეს მარკოზოვის ბინა.

4/6
ბიბლიოთეკა

— აფერისტული გზით. 3 მარტს მოქ. პ. ვიქტოროვს აფერისტმა ავეტისიანმა დასტყუა ბრილიანტის ბეჭედი.

— ქურდობა. 3 მარტს გაქურდეს თომას ქ. № 30, ვაკ ბილანიშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 150 ჩერვ. მან. ნივთები.

ხელოვნება

გამოფენა.

საქ. მუზეუმის დარბაზში გაიხსნა ძველი ქართულ არქიტექტურის გამოფენა.

სამუსიკო მუშაკები.

ლენინის რაიონში არსებული სამუსიკო მუშათა ფაკულტეტი მიმაგრებულ იქნა პლეხანოვის თეატრთან.

ლენინის ოთახი.

პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა კლუბთან მოაწყოს „ლენინის ოთახი“

დღეს თეატრებში.

ოპერა. ჰუგენოტები.

დრამა. თურქული წარმოდგენა.

სახ. სახლი. ებრაელთა წარმოდგენა.

მცირე თეატრი. თაყაიშვილის საღამო „ქაუდანდენი“

ცირკი. ახალი პროგრამა.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ №12
(ცალკე საკავშირო ასეულის კედლის გაზეთი)

23 თებერვალს გამოვიდა და მიძღვნილია წითელი არმიის არსებობიდან ექვს წელზე და 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეზე.

ფორმატი ჩვეულებრივია და დასურათებული. შუაში დიდი სურათი ლ. ტროცკის, და სათაური შრომის სამეფო სადაც ფრიალებს დროშა. ქვეშ აპარატთან ზის მეელსმენე და მუშაობს; ტელეგ. ლენტები იკლაკნებიან შორს, მავთულებზე გადაკლაკნილი. წითელი მზე მთელით დაჰნათის შრომის მხარეს, სადაც ცად აწვდენილნი ქარხნის ბუხრები მრისხანედ გადმოიყურებიან.

აქ უსათუოდ დიდი ფანტაზია და გემოვნება მხატვრის.

წერილები „წითელ არმიის 6 წლის თავზე“ — ნ. კუჭუაშვილისა, როგორც ენა, ისე დალაგება კარგია ცოტა გრძელი რომ არ იყოს. მეორე წერილი ისევ წითელ არმიის ექვსი წლის თავზე მიძღვნილი (მაჩიტაძისა) მოკლეა და კედლის გაზეთისთვის შესაფერისი მესამე წერილი საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზეა მიძღვნილი. შემდეგ მიდის გიოშვილის ლექსი საქართველოს გასაბჭოებაზე, სადაც ეტყობა უსათუოდ შეგნება და წინ წაწევა ავტორის.

შემდეგ მოდის იუმორი ასეულის ცხოვრებიდან და აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინებულადაა თქმული და ეტყობა ავტორების სახუმარო ნიჭი.

გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებდა უფრო, რომ ქაღალდი უკეთესი იყოს და ხელი გარკვეული: ბევრჯელ დაგვიწერია ამის შესახებ და კარგს იზამდენ გამომცემლები თუ გამოასწორებენ შემდეგისათვის.

სანი.

საბჭოთა მეურნეობა.

მშრალი და ხელოვნური ფიჭა.

ფუტკრის ოჯახის მოღონიერებას ხელს უწყობს მშრალი და ხელოვნური ფიჭის თავის დროზე მიწოდება. მოკლედ აგიხსნი თუ რას წარმოადგენს მშრალი და ხელოვნური ფიჭა.

სკას რომ სახურავი ახადოთ შიგ დაინახავთ სანთლის ნაშენებს, რომელსაც ეწოდება ფიჭა.

ფიჭა შესდგება ორგვარ ექვსკუთხიან უჯრედებიდან. პატარა,—მუშა ფუტკრის გამოსაჩეკი, მოზრდილი—მამალი ფუტკრისა, ამ უჯრედებში ფუტკარი ბარტყების გამოჩეკის შემდეგ ინახავს თაფლს. სადაც ერთდება მუშა და მამალ ფუტკრების გამოსაჩეკი უჯრედები, არსებობს სხვა და სხვა კუთხის რაოდენობიდან შემდგარი გადასაბმელი უჯრედები. ფიჭის ქვეითა ნაწილში, გვერდით ხშირად შეხვდებით მოგძო მორგვალო დიდ უჯრედებს. ამ უჯრედში იჩეკება დედა ფუტკარი.

ფიჭას ფუტკარი აკეთებს სანთლიდან.

სანთელი კი წარმოადგენს ფუტკრის ქონს, რომელიც გამოუდის ფუტკარს ტანზე თაფლით უხვად კვების შემდეგ.

1 გირვანქა სანთლის გაკეთებისათვის საჭიროა 10—12 გირვანქა თაფლი.

ნათლად სჩანს რომ ფიჭას გასაკეთებლად დიდძალი თაფლი იხარჯება.

ფუტკარს ამ რიგ უნდა მოვუმარჯვოთ ხელი, რომ რაც შეიძლება ცოტა სანთელი დასჭირდეს. მეფუტკრემ ჩარჩოდან არ უნდა გამოსჭრას თაფლიანი ფიჭა, უნდა გამოხადოს თაფლი ციბრუტის საშუალებით, გააშროს ფიჭა და შეინახოს მეორე წლისათვის.

მეორე წელიწადს ფუტკარს უკვე მზათ აქვს ჰურჭელი თაფლისათვის და სანთლის გასაკეთებლად დასახარჯ თაფლს უჯრედებში მოაქცევს.

საუბედუროთ მშრალი ფიჭა სამყოფი არასოდეს არ ექნება მეფუტკრეს, რადგან ფიჭა იმტვრევა, ძველდება.

ამ შემთხვევაში დიდ შეღავათს წარმოადგენს ფუტკრისათვის ხელოვნურ ფიჭას მიწოდება.

ხელოვნური ფიჭა წარმოადგენს ფიჭას ძირს. მას აქეთ-იქით აქვს ექვს კუთხიანი სამუშე უჯრედების ძირი. კეთდება გადამდნარ, გასუფთავებულ სანთლიდან.

არის ერთგვარი მანქანა რომლის საშუალებით გამდნარი სანთლიდან გამოჰყავთ ხელოვნურ ფიჭის ფურცლები. ამ ფურცლებს ხჭრიან და ამაგრებენ ჩარჩოებში.

ხელოვნურ ფიჭას ფუტკარი დიდის ხალისით დაეხვევა და ძირზე აშენებს უჯრედის კედლებს.

ფუტკრისათვის ხელოვნურ და მშრალ ფიჭის მიწოდების შემოღების შემდეგ, თაფლის შემოსავალი საგრძნობლად იმატებს.

სიფრთხილით მოექეცით ფიჭას და შეიძინეთ ხელოვნური ფიჭა.

ხელოვნური ფიჭის შეძენა ერთი ორად აანაზღაურებს მაზე გაწეულ ხარჯებს.

ზ—ლი.

მავნე მცენარე ხვართქლა.

ხვართქლა მრავალწლოვანი მავნე მცენარეა. ეს ეხვევა ახლო მყოფ სასარგებლო მცენარეებს, ხუთავს მათ და არ აძლევს განვითარების საშუალებას.

ხვართქლას ღეროები შემოსილია წაწვეტებული ფოთლებით, რომლის ძირშიც ვითარდება თეთრი ძაბრის მოყვანილობის ყვავილები. ყვავილებიდან კი ვითარდება თესლი, რომლის საშუალებითაც მრავლდება ეს მცენარე,

ხვართქლა მრავლდება აგრეთვე ფესვებით. თუ ხვართქლა განვითარდა თესლით ის ამავე წელს არ იძლევა ყვავილს. ის ზამთარში ქვნება მაგრამ მისი ფესვებიდან გაზაფხულზე ამოდის ახალი მცენარის ღეროები.

ხვართქლას მთავარი ფესვი ჩადის ღრმად მიწაში თითქმის ერთს არშინამდე, რომელიც გვერდებზე იკეთებს ფესვებს.

აი სწორედ ამ მთავარი ფესვის გვერდის ფესვებზე მოთავსებულია კვირტები, რომელიც ჩავარდებიან თუ არა ხელსაყრელ პირობებში ვითარდებიან.

ზოგიერთ შემთხვევაში ხვართქლას გამრავლებას ხელს უწყობს ნიადაგის მოხვნა, რომელიც წვრილ წვრილად სჭრის ხვართქლას ფესვებს. ასე დაჭრილ ხვართქლას ფესვები თუ ჩავარდა კარგს პირობებში იძლევიან ახალ მცენარეს.

ხვართქლას მოაქვს დიდი ზარალი მცენარეებისათვის, ხვართქლა შემოეხვევა მცენარეს ღუნავს ღეროებს და ხშირადაც გადატეხს მას. შემდეგ ნიადაგში მას აქვს კარგათ განვითარებული ფესვები, რომლითაც მას ამოაქვს ნიადაგიდან ბლომად საკვები მასალა. ამით სასარგებლო მცენარეს ესპობა საშუალება იკვებოს ნორმალურად.

აქედან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ხვართქლა საშინელი მავნე მცენარეა, რომელიც ნიადაგშიაც და ნიადაგს ზევითაც უსპობს სიცოცხლეს სასარგებლო მცენარეებს.

ამისათვის საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა.

როგორ უნდა ვებრძოლოთ მას? ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხვართქლა მრავლდება თესლით და ფესვებით.

ხვართქლა საჭიროა მოვსპოთ აყვავილებამდე, რომ თესლი არ განვითარდეს ყვავილში. ამისათვის ის უნდა მოვთიბოთ თესლის განვითარებამდე. მაგრამ ფესვით გამრავლების წინააღმდეგ უფრო ძნელია ბრძოლა.

ხვართქლას ფესვებში მომაგრებული იმდენი საკვები, რომ იგი უშვებს ახალ-ახალ ღეროებს, ამიტომ საჭიროა დავასუსტოთ ხვართქლას ფესვები.

ამისათვის საჭიროა რამდენიმეჯერ გავთოხნოთ ის, წავაცალოთ ღეროები.

მართალია, მოჭრილ ღეროს მაგივრად ამოვა ახალი ღერო მაგრამ თუ კი ის რამოდენიმეჯერ იქმნა მოთიბული ხვართქლა კარგავს ფესვებში მომარაგებულს საკვებ მასალას და მალე კვდება. კარგია აგრეთვე თესლთა ბრუნვის შემოღება რადგან მათ ხშირად სჭირია გათოხნა, ეს კი უსპობს მას ცხოვრებას. აგრეთვე მომკილ ყანაზე უნდა გაუშვათ საქონელი, რომლებიც ყველა ახალ ამოსულ მცენარეს მოსჭამენ.

ში.

ჩერვონეცის კურსი 7 მარტს

1 ჩერ. 5,600,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.	5,600,000	55 კ.	308,000,000
2 კ.	11,200,000	60 კ.	336,000,000
3 კ.	16,800,000	65 კ.	364,000,000
4 კ.	22,400,000	70 კ.	392,000,000
5 კ.	28,000,000	75 კ.	420,000,000
6 კ.	33,600,000	80 კ.	448,000,000
7 კ.	39,200,000	85 კ.	476,000,000
8 კ.	44,800,000	90 კ.	504,000,000
9 კ.	50,400,000	1 მ.	560,000,000
10 კ.	56,000,000	2 მ.	1,120,000,000
15 კ.	84,000,000	3 მ.	1,680,000,000
20 კ.	112,000,000	4 მ.	2,240,000,000
25 კ.	140,000,000	5 მ.	2,800,000,000
30 კ.	168,000,000	6 მ.	3,360,000,000
35 კ.	196,000,000	7 მ.	3,920,000,000
40 კ.	224,000,000	8 მ.	4,480,000,000
45 კ.	252,000,000	9 მ.	5,040,000,000
50 კ.	280,000,000	10 მ.	5,600,000,000

ავღანისტანის ჯარი.

ავღანისტანში 6,5 მილიონი მცხოვრებია. მოსახლეობა სამ ეროვნულ ჯგუფისაგან შესდგება: ავღანებისა, ოსმალებისა და ირანელებისაგან. პირველი ჯგუფი ყველაზედ მრავალრიცხოვანია და პოლიტიკურად ძლიერი. ადმინისტრაციის, მეცნიერების, სარწმუნოების და ვაჭრობის ენა—სპარსულია სახელმწიფოებრივი სარწმუნოება მაჰმადიანურია.

ხვნა-თესვა სწარმოებს დაბლობებზედ და მდინარეების ველზედ, იმ პირობით თუ იგი ხელოვნურად მოირწყვება. ზოგიერთ ადგილებში მოსავალი წელიწადში ორჯერ მოდის. მოჰყავთ: პური, ქერი, ლობიო, მუხუდო, ფეტვი, ბრინჯი. ხილეულობა თავზედ საყრელია. მრავლადაა ჰყავთ ცხენები, აქლემები, ხარ-კამეჩი, ძროხები, ცხვარი.

ბაჯაურისა და ფარმულის ოლქში რკინა ამოაქვთ; ოქრო—კანდაგარში; სპილენძი და ტყვია—ჩრდილოეთ ავღანისტანში; ძვირფასი ქვები—ბადახშანში. ჰქსოვენ ხალიჩებს, მაუდებს, აბრეშუმეულებს და სხვა. ტყავისა და ლითონის წვრილი წარმოებაა განვითარებული. სამი არსენალი აქვთ- ქაბულში, ჰერათში და მაზარიშერიფში, დენთისა და ვაზნების ქარხნები ქაბულში და ჰერათშია.

ვაჭრობა განსაკუთრებულად ინდოეთსა და რუსეთთან სწარმოებს. შეიარაღებული ძალა შესდგება მუდმივი ჯარისა და ლაშქროსან ჯარისაგან. ავღანისტანის არარეგულიარული ჯარი ახლო მომავალში დაშლილი იქნება.

უზენაესი შეერთება მშვიდობიან დროს ქვეითი ჯარისა დივიზიაა, რომელიც 2 ან 3 ბრიგადისაგან შესდგება, რომელსაც განზრახულია მიემატოს საარტილერიო ლეგიონი. დივიზიაში 18.000 ოფიცერი და ჯ. კაცია და 54 ქვემეხი. ქვ. ჯარის ბრიგადაში შედის 2 ან 3 ლეგიონი (გუნდი);—სულ 115 - 171 ოფიცერი და 3.820—573, ჯ. კაცი. ლეგიონში (გუნდი) შედის 3 კონდაკი (ათასეული)—სულ 56 ოფიცერი და 1910 ჯ. კაცი. კონდაკში (ათასეულში) შედის 4 ტულია (ასეული), ტულია შესდგება 134 ჯ. კაცისაგან, 25 უნტერ-ოფიც., 4 ოფიცრისაგან.

ცხენოსან დივიზიაში შედის ორი ბრიგადა (ლივა), დივიზიაში 6 ათასი—9 ათასი ოფიცერი და ჯ. კაცია.

არტილერიაში უზენაესი შეერთება ლეგიონია 54 ქვემეხი, ლეგიონში სამი ათასეულია (ჩვენ საარტილერიო დივიზიონებს შეესაბამება). ათასეულში სამი ასეულია (ბატარეია) 18 ქვემეხით.

რამოდენიმე ტყვია მფრქვეველთა გუნდია შემდგარი 4 ტყვია მფრქვეველით თითო. არსებობს აგრეთვე საინჟინრო და საკავშირო ნაწილები, რომელთა ორგანიზაცია და შემადგენლობაზედ ცნობები არაა.

განზრახულია ქვ. ჯარის 8 დივიზიის შედგენა: სულ 72 ლეგიონისა ამ რიცხვიდან 48 ინდოეთის საზღვარზედ იდგება 24 რუსეთისა. სულ საერთოთ ავღანისტანის ჯარში ირიცხება: ქვ. ჯარში 72,715 ხიშტი, კავალერიაში 1.200 ხმალი არტილერიაში 832 მსუბუქი და 195 მძიმე ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი 191.

სამსახურის ვადა ჯარის კაცებისათვის 3 წელია დაწესებული. უფროსთა შემადგენლობის შევსება ამ ჟამად სავსებით იცვლება. უწინ ოფიცრის ხარისხზედ აყვანა დამოკიდებული იყო გვარიშვილობაზედ და სიმდიდრეზედ. ბევრი უნტეროფიცერი ქრთამით გაოფიცრებულია. არმიის რეორგანიზაციით, რომელსაც ამ ჟამად ოსმალეთის ოფიცრები ინსტრუქტორები აწარმოებენ, შეცვლილი იქნება შევსების წესით. უფროსთა შემადგენლობა შეივსება კაბულის სამხედრო სკოლიდან და სამოსწავლო რაზმიდან. სამსახურის გავლის წესი შეიცვალა და შემოღებულია ნორმალური პირობანი სამსახურისა. სამსახურს ყველა იწყობს დაბალ ხარისხიდან მიუხედავათ კეთილშობილებისა და სიმდიდრისა.

მუდმივ ჯარის რეორგანიზაციას აწარმოებენ ოსმალეთის ოფიცრები: სათავეში უდგას ოსმალო გენერალი და სამი პოლკოვნიკი.

ავღანისტანის შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაცია ჯერ არ დამთავრებული. ავღანისტანის მმართველი ემირ ამანულლა-ხანი დიდის ენერგიით ატარებს ცხოვრებაში ამ რეფორმას, აწყობს დიდ მანევრებს და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ავღანისტანის შეიარაღებული ძალა იქნება გაწვრთნილი და შეიარაღებული ისევე, როგორც ევროპის მეორე ხარისხოვან სახელმწიფოების არმიები.

გ. ბ—შვილი.

ნ.დ.ს.ც. ტირაჟი 1800 სტამბა, კეცხოველის ქუჩა, ტელეფონი 8-61. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ხანთაძე